

შპს გრანიტი

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი

<u>ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება</u>	<u>3</u>
<u>სრული შემოსავლის ანგარიშგება</u>	<u>4</u>
<u>ფულადი ნაკადების ანგარიშგება</u>	<u>5</u>
<u>საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება</u>	<u>6</u>
<u>ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები</u>	<u>7-20</u>

შპს გრანიტი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის(ლარი)

	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019	3.12.2018
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	3	73582	87095	101 078
არამატერიალური აქტივები	4	57	113	209
სულ გრძელვადიანი აქტივები		73639	87208	101287
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	5	4553407	2 318 846	1 549 806
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	211665	1 307 099	421 675
მარაგები	7	47193	72307	315 537
ანარიცხები		1043	720	
სულ მოკლევადიანი აქტივები		4813308	3 698 972	2 287 017
სულ აქტივები		4886947	3 786 180	2 388 304
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		2000	2000	2 000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		4355092	3 005 627	2 117 237
სულ კაპიტალი		4357092	3 007 627	2 119 237
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	405380	683 674	146 116
საგადასახადო ვალდებულებები		124475	94 879	122 952
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		529855	778 553	269 068
სულ ვალდებულებები		529855	778 553	269 068
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		4886947	3 786 180	2 388 304

შპს გრანიტი

დირექტორი

2021




შპს გრანიტი

მთ.ბუღალტერი

2021



10 აგვისტო

შპს გრანიტი

მოგება-ზარალისა და სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

			(ლარი)
	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები	<u>9</u>	4966480	4 571 942
თვითღირებულება	<u>10</u>	(3361808)	(3 453 972)
საერთომოგება		1604672	1 117 969
სხვაშემოსავლები		6128	22 172
ზოგადიდადმინისტრაციულიხარჯი	<u>11</u>	(256032)	(211 059)
სხვახარჯები	<u>12</u>	(764)	(674)
საოპერაციომოგება		1354004	928 408
ფინანსურიშემოსავალი	<u>14</u>	24423	8279
ფინანსურიხარჯი			
წმინდასავალუტოზარალი/მოგება			
მოგებადაბეგვრამდე		1378427	936 688
მოგებისგადასახადი	<u>13</u>	(962)	(930)
წმინდამოგება		1377465	935 758
სხვასრულიშემოსავალი:			
გადაფასებისრეზერვი			-
მთლიანისრულიშემოსავალი		1377465	935 758

შპს გრანიტი

დირექტორი

10 აპრილი 2021



შპს გრანიტი

მთ.ბუღალტერი

10 აპრილი 2021

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

(საოპერაციო საქმიანობიდან ნაკადების წარდგენის არაპირდაპირი მეთოდით)

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

	12/31/2020	31/12/2019
მოგება დაბეგვრამდე	1,377,465	935,758
კორექტირება:	(322)	(719)
მოგების გადასახადი		
ცვეთის ხარჯი	16,814	15,418
ფულადი სახსრები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე	1,393,957	950,457
გაზრდა (შემცირება) დებიტორების ცვლილება	1,095,434	(885,594)
გაზრდა (შემცირება) მარაგის ცვლილება	25,114	243,222
გაზრდა (შემცირება) კრედიტორების ცვლილება	(278,294)	537,735
გაზრდა (შემცირება) გადასახადების ცვლილება	29,596	(28,073)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	2,265,807	817,747
ფულადი სახსრები საინვესტიციო შემოსავლებიდან		
შემენა/გაყიდვა ძირითადი საშუალებების	(3,246)	(1,339)
შემენა/გაყიდვა არამატერიალური აქტივების		
გრძელვადიანი ინვესტიციები /წილი სხვა საწარმოში		
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(3,246)	(1,339)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის აღება		
საწესდებო კაპიტალის შემცირება/ზრდა		
დივიდენდის გაცემა	(28,000)	(47,368)
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(28,000)	(47,368)
ფული და ფულის ექვივალენტის ცვლილება	2,234,561	769,040
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	2,318,846	1,549,806
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	4,553,407	2,318,846

შპს გრანიტი

დირექტორი

10.08.2021წ



შპს გრანიტი

მთ.ბუღალტერი

10.08.2021წ

2021წ 10 აგვისტო

შპს გრანიტი

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის (ლარი)

	საწესდებოკაპიტალი	გაუნაწილებელიმოგება	მთლიანიკაპიტალი
2018წლის 31 დეკემბერი	2 000	2 117 237	2 119 237
წმინდამოგება	-	935 758	935 758
სხვასრულიშემოსავალი	-	-	-
პერიოდისსრულიშემოსავალი	-	935 758	935 758
გაცემულიდივიდენდი	-	(47 368)	(47 368)
საწესდებოკაპიტალისზრდა	-	-	-
2019წლის 31 დეკემბერი	2000	3 005 626	3 007 626
წმინდამოგება	-	1377465	1377465
სხვასრულიშემოსავალი	-	-	-
პერიოდისსრულიშემოსავალი	-	1377465	1377465
გაცემულიდივიდენდი	-	(28000)	(28000)
საწესდებოკაპიტალისზრდა	-	-	-
2020წლის 31 დეკემბერი	2000	4357092	4357092

შპს გრანიტი

დირექტორი


2021



შპს გრანიტი

მთ.ბუღალტერი


2021 10 აპრილი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს გრანიტი (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილ და მოქმედ იურიდიულ პირს, რომელიც დაარსდა 1997 წლის 01 იანვარს, საიდენტიფიკაციო კოდი 201955223. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, კედიას ქ.#4.

კომპანიის პარტნიორები არიან:

- მერაბ ბურკაძე (პ/ნ 01026011267) – 52,5%
- ზურაბ ბურკაძე (პ/ნ 01026003883) – 47,5%

კომპანიის დირექტორი: ზურაბ ბურკაძე (პ/ნ 01026003883)

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის მიერ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში “მსს ფასს”) დადგენიების ფარგლებში. საწყისი ფინანსური ანგარიშგება გამოყენებული იქნება კომპანიის მიერ მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული პირველი სრული ფინანსური ანგარიშგებისათვის 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის. საწყისი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადდა 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით,

საწყისი ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს სრულ ფინანსურ ანგარიშგებას მომზადებულს მსს ფასს-ების მიხედვით, რადგანაც ის მოიცავს შესაძარის ფინანსურ ინფორმაციას და წარმოადგენს სამართლიანად კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, სრული შემოსავლის ანგარიშგებას და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას ფასს-ის მიხედვით.

საწყისი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით.

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობას და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანია საქართველოში. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის საქმიანობის უწყვეტობას. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა წინამდებარე საწყის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდზე ვრცელდება.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

საწყისი ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის სამუშაო ვალუტაა. ლარში წარმოდგენილი ყოველგვარი ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია 1(ერთი) ლარის სიზუსტით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავდაპირველად აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, რომლის კონვერტაციაც ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული სპოტ გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისათვის ლარის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. ყველა სხვაობა შეტანილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

შემოსავლის აღიარება

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის შემოღინება, ან მისი შემოღინების ალბათობა მაღალია. კომპანია ასახავს შემოსავალს როცა ის გადასცემს საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლს მომხმარებელს. შემოსავლის აღიარებამდე დაკმაყოფილებული უნდა იქნეს აღიარების შემდეგი კრიტერიუმები.

საქონლის რეალიზაცია.

საქონლის რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკებისა და სარგებლის გადაცემა ხდება მყიდველზე, ჩვეულებრივ, საქონლის ჩაბარებისთანავე და არსებობს კლიენტის მიმართ მოთხოვნის უფლება. საქონლის რეალიზაციით მიღებული შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, დაბრუნებული თანხებისა და რეზერვების, სავაჭრო ფასდათმობის და მოცულობის ფასდაკლების გამოკლებით.

საპროცენტო შემოსავალი.

ამორტიზებადი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელის ზუსტად ახორციელებს ფულადი სახსრების სავარაუდო შემოღინებების დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდზე, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. საპროცენტო

შემოსავლები სრული სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აისახება ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ნაწილში.

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადი.

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის აქციონერებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და გაცხადდება, როგორც სხვა გადასახადები მოგება-ზარალის ანგარიშგების სხვა არასაოპერაციო ხარჯებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- ▶ როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- ▶ როდესაც დებიტორული და კრედიტორული დავალიანება მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებითი ღირებულების გადასახადის წმინდა თანხა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში

აისახება, როგორც წინასწარ გადახდილი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა, ან როგორც საგადასახადო დავალიანება, მოგების გადასახადის გარდა.

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლე და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე-და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

► მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;

► ფლობის ძირითადი მიზანია გაჭრობა;

► მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან

► აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცემა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

► მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;

► ფლობის ძირითადი მიზანია გაჭრობა;

► დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან

► ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენი ვალდებულებას კომპანია „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს.

ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის – ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივები შემდეგ კატეგორიებს მიეკუთვნება:

მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, სესხები და მისაღები ანგარიშები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები, ან წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები საჭიროების შემთხვევაში ჰეჯირებისთვის. ფინანსური აქტივების აღიარება

თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და, იმ აქტივების შემთხვევაში, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით და ასახული მოგებაში ან ზარალში, ამას ემატება გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯები.

ფინანსური აქტივების ისეთი ყიდვა-გაყიდვა, როდესაც საჭიროა აქტივების ჩაბარება

ნორმატიული აქტებით ან ბაზარზე დამკვიდრებული პრაქტიკით (გარიგების

სტანდარტული პროცედურა) გათვალისწინებულ ვადაში აღირიცხება გარიგების თარიღით,

ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანია იღებს აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის

ვალდებულებას.

ყველა ის ფინანსური აქტივი, რომელსაც კომპანია ფლობს 2020 წლის სდა 2019 წლის 31

დეკემბრი სმდგომარეობით, მიეკუთვნება მისაღები ანგარიშების კატეგორიას და მოიცავს

სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებას, ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს.

შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია მათ შემდგომ კლასიფიკაციაზე: სესხები და მისაღები ანგარიშები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. სესხებისა და მისაღები ანგარიშების შეფასება თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით ხდება. თავდაპირველი შეფასების შემდეგ ასეთი ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება ხორციელდება ამორტიზებული ღირებულების შესაბამისად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR), გაუფასურების გამოკლებით. ამორტიზებული ღირებულება გამოიანგარიშება შესყიდვის ყოველგვარი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურების თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ნაწილში. გაუფასურებით გამოწვეული ზარალის რული შემოსავლის ანგარიშგებაში აისახება, როგორც ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ▶ ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების ვადა;
- ▶ კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა ან რამდენად შეინარჩუნა ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. თუ კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, და ასევე არ გადასცა აქტივზე კონტროლი, კომპანია აგრძელებს გადაცემული აქტივის აღიარებას ამ აქტივში მისი მონაწილეობის შენარჩუნების გამო. ასეთ შემთხვევაში კომპანია მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება კომპანიის მიერ დატოვებული უფლება-მოვალეობების საფუძველზე. უწყვეტიგამოყენება, რომელსაც აქვს გადაცემული აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, ფასდება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და იმ მაქსიმალური თანხის შორის, რომლის გადახდაც შესაძლოა.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურების რაიმე ობიექტური ნიშნის არსებობას. გაუფასურებასთან საქმე გვაქვს მაშინ, როდესაც აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ

მომხდარი ერთი ან მეტი მოვლენა („ზარალის დადგომის შემთხვევა“) გავლენას ახდენს ფინანსური აქტივიდან ან ფინანსური აქტივების ჯგუფიდან მისაღები ფულადი სახსრების მომავალში მოსალოდნელ ნაკადებზე, რომელთა სარწმუნოდ განსაზღვრაც შესაძლებელია. გაუფასურების არსებობის ობიექტური ნიშანი შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ მევალე ან მევალეთა ჯგუფი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, არღვევს სესხის პროცენტის ან ძირითადი თანხის გადახდის ვალდებულებას, არსებობს გაკოტრების ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის მაღალი ალბათობა და ხელთ არსებული მონაცემები მიუთითებს ფულადი სახსრების მოსალოდნელი მომავალი ნაკადების შემცირებაზე, მაგალითად, როგორიცაა ცვლილებები ვადაგადაცილებული გადახდების დონეში ან ეკონომიკური პირობებში, რომლებსაც უკავშირდება ვალდებულებების შეუსრულებლობა.

გაუფასურების ნებისმიერი ზარალის დადგენილი თანხა აღირიცხება, როგორც სხვაობა აქტივების საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის (მოსალოდნელი სამომავლო საკრედიტო ზარალის გამოკლებით, რომელსაც ჯერ ადგილი არ ჰქონია). მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მეშვეობით და დანაკარგის თანხის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. საპროცენტო შემოსავალი (ასახული ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის სახით სრული შემოსავლის ანგარიშგებაში) კვლავაც ერიცხება შემცირებულ საბალანსო ღირებულებას იმ განაკვეთით, რომელიც გამოიყენება სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებისთვის გაუფასურების შედეგად განცდილი ზარალის შესაფასებლად. სესხები, მათთან დაკავშირებულ რეზერვთან ერთად ჩამოიწერება მაშინ, როდესაც მომავალში მათი ამოღების რეალური პერსპექტივა არ არსებობს და ყველა უზრუნველყოფის საგანი რეალიზებულია ან გადაცემულია კომპანიისთვის. თუ მომდევნო წლის განმავლობაში გაუფასურებით გამოწვეული ზარალი გაიზრდება ან შემცირდება გაუფასურების აღიარების შემდგომი მოვლენის გამო, მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი იზრდება ან მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით. თუ სამომავლო ჩამოწერის ამოღება მოხერხდება, იგი გატარდება სრული შემოსავლის ანგარიშგების ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯების ნაწილის კრედიტში.

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება
თავდაპირველი შეფასებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებასა და ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები და გადასახდელი ანგარიშები, დებიტორული დავალიანება ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განკუთვნილია ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს. ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და, სესხებისა და გადასახდელი ანგარიშებისა და დებიტორული

დავალიანების შემთხვევაში, აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება 2020 წლის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიეკუთვნება გადასახდელი ანგარიშების კატეგორიას და მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას და გადასახდელ ანგარიშებს.

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე: თავდაპირველი აღიარების შემდეგ სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის დროს, აგრეთვე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით დარიცხული ამორტიზაციის პროცესში. ამორტიზებული ღირებულება გამოიანგარიშება შესყიდვის ყოველგვარი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურების თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების სახით.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ჩანაცვლება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე არსებითად განსხვავებული პირობების ან ისეთი მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობების საფუძველზე, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება განიხილება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობა აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

კომპანიის პარტნიორებისათვის ფულადი დივიდენდების განაწილება

კომპანია აღიარებს ვალდებულებას, მოახდინოს ფულადი ან არაფულადი განაწილება მშობელი კომპანიისთვის, როდესაც განაწილება ნებადართულია და აღარ არის კომპანიის გადაწყვეტილების საგანი. მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მიხედვით, მოგების განაწილება ნებადართულია მაშინ, როდესაც მტკიცდება პარტნიორთა და აქციონერთა საერთო კრების მიერ მიღებული დადგენილებით. შესაბამისი თანხის აღიარება პირდაპირ კაპიტალში ხდება.

არაფულადი განაწილება ფასდება გასანაწილებელი აქტივების სამართლიანი ღირებულებით და სამართლიანი ღირებულების გადაფასების აღიარება პირდაპირ კაპიტალში ხდება.

არაფულადი აქტივების განაწილებისას ყოველგვარი სხვაობა ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და განაწილებული აქტივების საბალანსო ღირებულებას შორის აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფასდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გადაფასების თარიღის შემდეგ აღიარებული გაუფასურების ზარალი. შეფასება ხდება საკმარისი სიხშირით, რომ გადაფასებული აქტივის სამართლიანი ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს მისი საბალანსო ღირებულებისგან.

როდესაც ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის პერიოდული შეცვლა ხდება აუცილებელი, კომპანია ასეთ ნაწილებს აღიარებს დამოუკიდებელ აქტივად კონკრეტული სასარგებლო გამოყენების ვადით და შესაბამისად არიცხავს ცვეთას. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯის აღიარება ხდება მათი დადგომისთანავე სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებაა.

გადაფასების ყოველგვარი ნამეტი მიეკუთვნება აქტივების გადაფასების რეზერვს და შედის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების კაპიტალის ნაწილში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი შეაბრუნებს ამავე აქტივის გადაფასების შედეგად შემცირებულ ღირებულებას, რომელიც მანამდე ხარჯად იყო აღიარებული. ასეთ შემთხვევაში ღირებულების გაზრდის აღიარება ხდება გადაფასების შედეგად მიღებული შემოსულობის სახით.

გადაფასებისდეფიციტისაღიარებახდებახარჯისსახითგარდაიმშემთხვევებისა, როდესაციგიგაქვითავსამავეაქტივზეარსებულნამეტს,

რაცაღიარებულიააქტივისგადაფასებისრეზერვში.აქტივებისგადაფასებისრეზერვიდანწლიურ რიგადატანაგაუნაწილებელმოგებაზეხდებააქტივებისგადაფასებულისაბალანსოღირებულებ ისცვეთასადააქტივებისთავდაპირველიღირებულებისცვეთასშორისსხვაობით. გარდაამისა, გადაფასებისთარიღისთვისაკუმშულირეზერვიცვეთაჩამოიწერებააქტივისმთლიანსაბალანს ოღირებულებიდანდაწმინდაღირებულებისგადაანგარიშებახდებააქტივისგადაფასებულიღირებულებისმისაღებად. გასხვისებისას, გაყიდულ, იჯარითგაცემულანლიკვიდირებულკონკრეტულაქტივთანდაკავშირებულინებისმიერგადა ფასებისრეზერვიგადაიტანებაგაუნაწილებელმოგებაზე.

ცვეთა გამოითვლება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით შემდეგი წლიური განაკვეთების გამოყენებით:

შენობა ნაგებობა	5%
ოფისის აღჭურვილობა	15%
კომპიუტერული ტექნიკა	15%
სატრანსპორტო საშუალებები	20%
არამატერიალური აქტივები	8%
იჯარით აღებული ძს კეთილმ.	15%

აქტივების ცვეთა იწყება მათი შემენის თვიდან, ან, კომპანიის მიერ აშენებული აქტივების შემთხვევაში, აქტივის დასრულებისა და ექსპლუატაციაში მიღებისთვიდან. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

თავდაპირველად აღიარებულია მათუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებელი სმილება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიცგამოითვლება, როგორც გასხვისებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

მასალები, სათადარიგო ნაწილები და სხვა მოხმარების საგნები ფასდება შესყიდვის ხარჯით და შეიცავს ტრანსპორტირებისა და ჩატვირთვა-გადმოტვირთვის ხარჯებს.

ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი ღირებულების ანუ საშუალო ფასთა მეთოდით, რაც მდგომარეობს იმაში, რომ რეალიზებული (ჩამოწერილი) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების განსაზღვრა ხდება გასაშუალებული ფასების მიხედვით რეალიზაციის ან ჩამოწერის ყოველი კონკრეტული მომენტისათვის.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, მიმდინარე საბანკო და სადეპოზიტო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს.

დებიტორული დავალიანება

კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის აფასებს, არსებობს თუ არა ფინანსური აქტივის გაუფასურების ობიექტური ნიშნები. ასეთი ობიექტური მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მეშვეობით და დანაკარგის თანხა აისახება მიმდინარე პერიოდის ხარჯებში.

ხელმძღვანელობის შეფასებით 2020 წლის 31 დეკემბერისთვის უიმედო ვალების რეზერვის შექმნა არ არის საჭირო და ეს შეფასება ყველაზე მეტი სიზუსტით ასახავს სავაჭრო დებიტორული ანგარიშების გაუფასურებით გამოწვეულ შესაძლო დანაკარგებს.

კრედიტორული დავალიანება

კრედიტორული დავალიანება აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას. ვალდებულება აღირიცხება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებულ მონაცემებსა და მიმდინარე დაშვებებზე დაყრდნობით. ვალდებულება არ დისკონტირდება ფულის დროით ღირებულებასთან მიმართებაში. ვალდებულების ჩამოწერა ხდება მისი დაფარვის მოთხოვნის ვადის გასვლის, შეწყვეტის ან გაუქმებისას.

კრედიტორული დავალიანება რომლის დაფარვის ვადა ბალანსის შედგენიდან ერთ წელზე მეტია აისახება როგორც გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანება.

კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებას კომპანიის წესდებაში (მათ შორის ცვლილებას საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და ა.შ.) ხორციელდება კომპანიის დამფუძნებლების მიერ.

აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულებები იმ პერიოდისათვის, რომელშიც გამოცხადდა.

შენიშვნა -3

ძირითადისაშუალებები

	მანქანა- დანადგარებ ო	ავიაციის დასახელებები ო	სატრანსპორტო საშუალებები ო	ჯამი
ლარში				
2019 წლის ბოლოს მდგომარეობით	48638	5 746	79 546	133 930
შესყიდვა გასვლა	3246			
2020 წლის ბოლოს მდგომარეობით	51884	5 746	79 546	137176
დაგროვილი ცვეთა				
2019 წლის ბოლოს მდგომარეობით	19833	1640	10039	31513
ცვეთის ხარჯი	10506	949	5303	16758
გასულიაქტივის დაგროვილი ცვეთა 2020 წლის ბოლოს მდგომარეობით	39486	3462	20645	63594
სამალანსო ღირებულება				
2019 წლის ბოლოს	19 657	3 234	64 203	87 095
2020 წლის ბოლოს	12398	2284	58901	73582

შენიშვნა-4

არამატერიალური აქტივები

ლარი

	ლიცენზიები	სხვა	ჯამი
2019 წლის ბოლოს	390	506	896
შემოსვლა			-
გასვლა			-
2020 წლის ბოლოს	390	506	896

	ლიცენზიები	სხვა	ჯამი
დაგროვილი ამორტიზაცია			

2019წლის ბოლოს	389	394	783
პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი	1	55	56
გასულის დაგროვილი ამორტიზაცია			
2020წლის ბოლოს	390	449	841
	ლიცენზიები	სხვა	ჯამი
საბალანსო ღირებულება			
2019წლის ბოლოს	1	112	113
2020წლის ბოლოს	0	57	57

შენიშვნა-5 ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

ლარში	31/12/2020	31/12/2019	31/12/2018
ფული სალაროში	145	900	-
ფული საბანკო ანგარიშებზე	4553262	2 317 946	1 549 806
ს უ ლ	4553407	2 318 846	1 549 806

შენიშვნა-6 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	31/12/2020	31/12/2019	31/12/2018
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	211665	1306159	351128
სხვა მოთხოვნები		940	70547
ს უ ლ	211665	1307099	421675

შენიშვნა-7 მარაგები

ლარში

ნედლეული

დაუმთავრებელი წარმოება

ს უ ლ

31/12/2020	31/12/2019	31/12/2018
47193	59015	285 469
0	13292	30 068
47193	72307	315 537

შენიშვნა-8 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

ლარში

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

გადასახდელი ხელფასები

საგადასახადო ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები

ს უ ლ

31/12/2020	31/12/2019	31/12/2018
363773	682751	77753
41607	923	68 363
124475	94 879	122 952
529885	778 553	269 068

შენიშვნა-9 ამონაგები

ლარი

შემოსავალი რეალიზიციიდან

ნედლეულის რეალიზაცია

ს უ ლ

31/12/2020	31/12/2019
4964207	4 562 880
2273	9062
4966480	4 571 942

შენიშვნა-10 თვითღირებულება

ლარი

მზა პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული ნედლეულის თვითღირებულება

მომსახურების თვითღირებულება

ს უ ლ

31/12/2020	31/12/2019
2084	8203
3359724	3445769
3361808	3453972

შენიშვნა-11 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ლარი

	31/12/2020	31/12/2019
შრომის ანაზღაურება	121709	117 709
საპენსიო შენატანის ხარჯები	14470	19 557
საიჯარო ქირა	25435	26715
კომუნიკაციის ხარჯები	0	226
კომპიუტერის ხარჯები	114	28
სამეურნეო ხარჯი, წვრილი ხელსაწყოები, სათადარიგო ნაწილები	14065	4202
ცვეთა და ამორტიზაცია	16814	15418
სხვა საგადასახადო ხარჯი	764	868
სხვა საერთო ხარჯი	62661	26 336
ს უ ლ	256032	211 059

შენიშვნა-13 მოგების გადასახადის ხარჯი

ლარი

	31/12/2020	31/12/2019
მიმდინარე მოგების ხარჯი	962	930

შენიშვნა-12 სხვა ხარჯები

ლარი

ქონების გადასახადი

სულ

ს უ ლ

	31/12/2020	31/12/2019
ქონების გადასახადი	764	674
სულ	764	674

შენიშვნა - 14 ფინანსური შემოსავალი
ლარი

საპროცენტო შემოსავლები

	31/12/2020	31/12/2019
საპროცენტო შემოსავლები	24423	8279

კომპანიას სადებოზიტო ანგარიშზე განთავსებული აქვს თანხა ,რომელზედაც დაერიცხა საპროცენტო შემოსავალი.